გაიმარჯვა აქტიურმა თამაშმა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 3:1 (1:1).

”სპარტაკი”: პროხოროვი, ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ზენკოვი, ბულგაკოვი, მინაევი, ანდრეევი (მირზოევი), პისკარიოვი, სილაგაძე, რედინი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, რეხვიაშვილი, წერეთელი.

მსაჯი: ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 3:2 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

მატჩის შედეგს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. განსაკუთრებით, “სპარტაკისთვის”. შეიძლება არც თბილისელები იყვნენ კმაყოფილი თავიანთი აქტივით, მაგრამ მათ, ასე თუ ისე, 3 ქულა მაინც ჰქონდათ, მოსკოველები კი IV ტურისთვის გათამაშების ცხრილში “ცარიელ–ტარიელნი” იყვნენ – 0.

ასეთმა სატურნირო მდგომარეობამ “სპარტაკი” აიძულა თავიდანვე ეთამაშა მთელი შესაძლებლობით, მონდომებით, სრული ძალით. გუნდმა მაღალი ტემპი აიღო, შეძლო დაუფლებოდა საერთო ინიციატივას და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ის “სპარტაკია”, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა პირველხარისხოვანი მოთამაშეებით, მაღალი კლასით, რთული კომბინაციური ბრძოლით, ესე იგი ყოველივე იმით, რითაც მას ასეთი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი მოსკოველ მაყურებელთა შორის. არაფერი მსგავსი. უბრალოდ, სპარტაკელები იბრძოდნენ უფრო აქტიურად, მონდომებით და თავგამოდებით, ვიდრე მათი მეტოქენი. მეტს მოძრაობდნენ, მეტი კონტაქტი ჰქონდათ ბურთთან. არაერთი შეცდომა დაუშვეს მეკარე პროხოროვმა და მცველებმა, რის შედეგად დინამოელებს ბურთის გატანის რამდენიმე უდავო შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ ეს ვერ შეძლეს რეხვიაშვილმა, ყიფიანმა, წერეთელმა. ნახევარდაცვაში კეთილსინდისიერად იშრომა ბულგაკოვმა, რომლის ნეიტრალიზება შეიძლებოდა მხოლოდ ასეთივე დაუღალავი შრომით, თბილისელთა შორის კი ასეთი მშრომელი არავინ აღმოჩნდა. იგივე ითქმის რედინზე, პისკარიოვზე. მათი იერიშების მოგერიება საჭირო იყო მშვიდი, ორგანიზებული ურთიერთმოქმედებით, “დინამოს” მცველები და ნახევარმცველები კი მეტისმეტად აგზნებული და განერვიულებული ჩანდნენ და ხშირად კარგავდნენ ბურთს.

შეცდომები სისტემატურად თან სდევდა სტუმრების თამაშს ყველა რგოლში. თბილისელები ცნობილი არიან მაღალი ტექნიკით, ბურთის ფლობის ხელოვნებით, ამ მატჩში კი ისინი სწორედ ტექნიკურ წუნს უშვებდნენ ელემენტარულ სიტუაციებშიც კი. ეს განსაკუთრებით ეხებათ ნახევარდაცვის წევრებს, რომელთა გადაცემების დიდი უმრავლესობა მეტოქეს უფრო “ზუსტად” მისდიოდა, ვიდრე პარტნიორს. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მხოლოდ წერეთელმა. იგი სხვებზე მეტს მოძრაობდა, მუდამ მზად იყო ბურთის მისაღებად, კომბინაციაში ჩასაბმელად, ხოლო უშუალო ორთაბრძოლისას მთელი თავით სჯობდა ბუკიევსკისაც, ოლშანსკისაც. მისი გარღვევების შემდეგ “სპარტაკის” კარი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა რეალური ხიფათის წინაშე.

ანგარიში 24–ე წუთზე გახსნა პისკარიოვმა. მან მიიღო ანდრეევის გადაცემა, გავიდა წინ და მოულოდნელად, დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა – 1:0.

ამის შემდეგ რეხვიაშვილს მიეცა საპასუხო გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი (გადაცემა მან მიიღო წერეთლისგან), მაგრამ ვერ დაიმორჩილა ბურთი.

34–ე წუთზე წერეთელმა კვლავ მოუგო ბრძოლა ჯერ ბუკიევსკის, მერე ოლშანსკის და ზედ კარის წინ მიაწოდა ღიად დარჩენილ ასათიანს. 1:1.

შესვენების შემდეგ "სპარტაკი" კვლავ ფლობდა ინიციატივას. 70–ე წუთზე გარღვევაზე გასული ბულგაკოვი წააქციეს დინამოელთა საჯარიმო მოედანზე და მსაჯმა 11–მეტრიანი დანიშნა. იმავე ბულგაკოვმა ზუსტად დაარტყა პენალტი – 2:1.

მატჩის ხსნის შესაძლებლობა სტუმრებს თამაშის ბოლომდე კვლავ მიეცათ, როცა პროხოროვის მიერ ხელიდან გაშვებულ ბურთს მიუსწრო ყიფიანმა, მაგრამ მან ვერ შეძლო კარში დარტყმა. სამაგიეროდ, გაცილებით უხიფათო ვითარებაში, 87–ე წუთზე, სპარტაკელებმა იმარჯვეს: პისკარიოვმა მიმართულება შეუცვალა რედინის მიერ დარტყმულ ბურთს და თბილისელთა კარის ბადე მესამედ შეირხა.

"სპარტაკს" ეს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდა და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ეს მოხდა თბილისის "დინამოს" უსისტემო თამაშის ხარჯზე.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
"ლელო", 1 მაისი, 1973 წ.